FREE NETWORK 🇺🇦

#AcademicsStandWithUkraine

POLICY BRIEF SERIES

იაროსლავა ბაბიჩი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ნორბერტო პინიატი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
არჩილ ჩაფიჩაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ერეკლე შუბითიძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
გურამ ლობჟანიძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

თებერვალი, 2023

იქონიებს თუ არა სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესება გავლენას ქალთა შორის სიღარიბის მაჩვენებელზე? – სიმულაციური შემთხვევის ანალიზი საქართველოს მაგალითზე

ეკონომიკურ ლიტერატურაში სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის, როგორც სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანასწორობის ხელშემწყობი ინსტრუმენტის, გავლენა შრომით ბაზარზე მწვავე დებატების საგანია. წინამდებარე მიმოხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოში სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის მიღების ჰიპოთეტური გავლენა სიღარიბის მაჩვენებელზე, განსაკუთრებით, ქალებში. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სიმულაციური შემთხვევის ანალიზი (Babych et al., 2022) გვიჩვენებს, რომ სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის პოტენციური ზრდა გამოიწვევს ზოგად დადებით შედეგს, თუმცა მცირე გავლენას თუ იქონიებს სიღარიბის მაჩვენებელზე. ამავდროულად, სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის ზრდით, ქალები კაცებთან შედარებით მეტ სარგებელს მიიღებენ. არსებული ლიტერატურის მსგავსად, სიმულაციური შემთხვევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მხოლოდ სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის ზრდა არ არის საკმარისი სიღარიბის მაჩვენებლის საგრძნობლად შესამცირებლად და პარალელურად საჭიროა სხვა ზომების მიღებაც, მაგალითად, ისეთის, როგორიც სასწავლო პროგრამებია სამუშაო ძალაში ქალების წილის ზრდის შესახებ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) თანახმად, „მინიმალური ხელფასის განსაზღვრა შეიძლება იყოს სიღარიბის და უთანასწორობის, მათ შორის კაცებსა და ქალებს შორის, დაძლევის პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი“ (ILO, 2023). სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის არსებობა მწვავე დებატების საგანია ეკონომიკურ ლიტერატურაში. მწვავე დისკუსია მიმდინარეობს ამგვარი ზღვრის დადებით და უარყოფით მხარეებზე, შრომის ბაზარზე მისი გავლენისა და ამ ინსტრუმენტის, როგორც სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმის, რელევანტურობის შესახებ. აღნიშნული საკითხები მრავალი ემპირიული კვლევის თუ სიმულაციური შემთხვევის ანალიზის საგანს წარმოადგენს. მოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში მიმოვიხილავთ, რა გავლენა აქვს საქართველოში მინიმალური ხელფასის ზრდას სიღარიბის მაჩვენებლებზე, კერძოდ, სიღარიბის მაჩვენებლებზე ქალებს შორის.

მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრით გამოწვეული შედეგები

ევროკომისიის (2020) მონაცემების თანახმად, მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრა დაკავშირებულია ბევრ სარგებელთან, მათ შორის დასაქმებულთა შორის სიღარიბის მაჩვენებლის, აგრეთვე, გენდერული სახელფასო სხვაობისა და არათანაბარი ანაზღაურების შემცირებასთან.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო მონაცემებზე დაყრდნობით, არ ღირს მინიმალური ხელფასის პოლიტიკის სიღარიბის აღმოფხვრის ყოვლისშემძლე ინსტრუმენტად განხილვა. ILO-ის 2019 წლის ანგარიშში სიღარიბის მაჩვენებელი დასაქმებულთა შორის შედარებულია სიღარიბის მაჩვენებელთან იმ პირთა შორის, რომლებიც არ არიან წარმოდგენილნი შრომით ბაზარზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდა აღმოფხვრის სიღარიბეს დასაქმებულთა შორის, კვლავ იარსებებს ღარიბი ადამიანების საკმაო რაოდენობა.

გარდა ამისა, სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესებამ შესაძლოა პოტენციურად უარყოფითი გავლენა იქონიოს ყველაზე მოწყვლადი ნაწილის დასაქმების მაჩვენებელზე, რადგან კომპანიები თავს შეიკავებენ დაბალანაზღაურებადი, არც ისე კვალიფიციური კადრების აყვანისგან (Neumark, 2018). აღნიშნული უარყოფითი გავლენა გაცილებით ძლიერი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე სახელფასო ანაზღაურება მეტად გაუტოლდება მუშახელის რეალურ პროდუქტიულობას. ამგვარად, არც ისე პროდუქტიული თანამშრომლების შენარჩუნების შემთხვევაში, კომპანიები განიცდიან ზარალს და ადრე თუ გვიან, მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდის შემთხვევაში, დაითხოვენ თანამშრომლებს, რაც მთელი რიგი თანამშრომლებისათვის გამოიწვევს ხელფასის დაკარგვას და არა მის მომატებას. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი იმაზე ნაკლებია ვიდრე ნაკლებად პროდუქტიული თანამშრომლების რეალური პროდუქტიულობის მაჩვენებელი, კომპანიებისთვის კვლავ სარგებლიანი იქნება მათი სამსახურში აყვანა და არ მოუწევთ მათი სამსახურიდან გათავისუფლება, რაც გამოიწვევს დაბალანაზღაურებადი კადრების ხელფასების ზრდას.

გამოიწვევს თუ არა მინიმალური ხელფასის დაწესება სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებას ან/და დაეხმარება თუ არა ეს დაბალშემოსავლიან ოჯახებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ადამიანი დაკარგავს სამსახურს, რამდენი შეინარჩუნებს სამუშაო ადგილს და მიიღებს გაზრდილ ხელფასს, და იმაზე, თუ როგორ

გადანაწილდებიან ეს ადამიანები ოჯახების შემოსავლების ჭრილში.

რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, მოსალოდნელი შედეგები არც თუ ისე ერთგვაროვანია. ერთი მხრივ, მთელი რიგი ფაქტებისა მოწმობს, რომ მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრა ნამდვილად იწვევს დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრებისათვის ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების შემცირებას (Sabia, Burkhauser and Hansen, 2012; Sotomayor, 2021; Neumark, 2018). მეორე მხრივ კი, მკვლევრების გარკვეული ნაწილის აზრით, კვლევის სტრუქტურის ცვლილებისა და მხოლოდ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ხელფასის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის პოლიტიკის არაშემთხვევითი განაწილების გათვალისწინების შემთხვევაში, აღნიშნული პოლიტიკით გამოწვეული „უმუშევრობის ეფექტი“ (აშშ-ის მაგალითის გათვალისწინებით) დიდწილად გაქრება (Allegretto et al., 2013; Dube et al., 2010).

რაც შეეხება სიღარიბის მაჩვენებელს, ბევრ კვლევაში მინიმალური ხელფასის განსაზღვრა განიხილება როგორც განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესთან ბრძოლის ინსტრუმენტი და ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტიანია ეს ინსტრუმენტი სიღარიბის შესამცირებლად ან უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, Sotomayor-ის 2021 წლის კვლევის თანახმად, ბრაზილიაში სიღარიბისა და არათანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლები 2,8 და 2,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა ხელფასის მინიმალური ოდენობის გაზრდიდან სამი თვის პერიოდში. აღნიშნული ეფექტი დროთა განმავლობაში შემცირდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ სამუშაო ადგილებს, ძირითადად, ღარიბი ოჯახების წევრები კარგავდნენ. ის ფაქტი, რომ მინიმალური ანაზღაურების ყოველწლიურმა ზრდამ ბრაზილიაში გამოიწვია სიღარიბის მაჩვენებლის და არათანაბარი ანაზღაურების შემცირების ტენდენცია, ადასტურებს, რომ დასაქმებულთა გაზრდილმა ანაზღაურებამ, თავისი ისეთი შესაძლო პოტენციური გვერდითი ეფექტებით, როგორიცაა გაზრდილი მთლიანი მოხმარება, შესაძლოა გადაწონოს უმუშევრობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

მინიმალური ხელფასის ოდენობა და სიღარიბე ქალებში

ზოგადად, სიღარიბის საერთო მაჩვენებელთან დაკავშირებით, ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა შეხედულება იმის შესახებ, გამოიწვევს თუ არა სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის გაზრდა ქალთა შორის სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებას. აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს მარტოხელა დედები წარმოადგენდნენ, რადგან, როგორც წესი, სწორედ ისინი არიან ყველაზე მოწყვლადი, დაბალანაზღაურებადი კადრები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკარგავენ სამუშაო ადგილებს მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრის ან სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვრის გაზრდის შემთხვევაში. ბურქჰაუზერისა და საბიაზ (Burkhauser and Sabia, 2007) აზრით, მინიმალური სახელფასო ზღვრის ზრდამ აშშ-ში (1988-2003) არ იქონია გავლენა სიღარიბის მთლიან მაჩვენებელზე, არც სიღარიბის მაჩვენებელზე დასაქმებულთა შორის ან მარტოხელა დედებს შორის. მათი აზრით, გამომუშავებულ შემოსავალზე საგადასახადო კრედიტის გაზრდა, რომელიც წარმოადგენს დასაქმებულთა ხელფასის სუბსიდირების მექანიზმს მათი შემოსავლის კატეგორიის, საგადასახადო დეკლარაციის სტატუსისა და ბავშვების რაოდენობის მიხედვით, უფრო დიდ გავლენას მოახდენს სიღარიბის მაჩვენებელზე, განსაკუთრებით, მარტოხელა დედებში.

ამავდროულად, ნიუამრკსა და ვაშერს (Neumark and Wascher, 2011) მიაჩნიათ, რომ გამომუშავებულ შემოსავალზე საგადასახადო კრედიტი და მინიმალური ხელფასი აძლიერებს ერთმანეთის დადებით ეფექტს ბავშვებიან მარტოხელა ქალებში (იწვევს როგორც დასაქმების მაჩვენებ-

ლის, ისე შემოსავლის ზრდას), მაგრამ უარყოფითად მოქმედებს მარტოხელა ქალებზე, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები და, ასევე, უმცირესობის წარმომადგენელ კაცებზე. აშშ-ში ჩატარებულ კიდევ ერთ კვლევაში (Sabia, 2008) განხილულია მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდის გავლენა მარტოხელა დედების კეთილდღეობაზე. კვლევის თანახმად, მათი უმეტესობისთვის სიტუაცია არ შეცვლილა, რადგან მათი ხელფასები მინიმალურ დადგენილ ოდენობას აღემატებოდა. დასაქმების მაჩვენებელსა და ნამუშევარი საათების რაოდენობაზე უარყოფითი გავლენის გამო, არ გაზრდილა მარტოხელა დედების წმინდა შემოსავალი: დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების შემთხვევაში, მინიმალური ხელფასის 10%-ით ზრდამ გამოიწვია დასაქმების მაჩვენებლის 8.8%-ით, ხოლო ნამუშევარი საათების 11.8%-ით შემცირება.

კიდევ ერთ კვლევაში (DeFina, 2008) ყურადღება გამახვილებულია ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლებზე. კვლევა ასახავს, რომ მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდა დადებით გავლენას ახდენს (ამცირებს) ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელზე იმ ოჯახებში, რომელთა სათავეში ქალები დგანან. აღნიშნული ეფექტი მცირეა (მინიმალური ხელფასის 10%-ით ზრდა ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლებს 1,8 პროცენტული პუნქტით ამცირებს), მაგრამ სხვა ფაქტორების გაკონტროლების შემთხვევაში, ეს ეფექტი მნიშვნელოვანია.

საბოლოო ჯამში, გარკვეულწილად, არაერთგვაროვანია მინიმალური ხელფასის ოდენობის შემოღებით გამოწვეული გავლენა სიღარიბის მაჩვენებელზე ქალებში ან იმ ოჯახებში, რომელთა სათავეში ქალები დგანან. აღნიშნული დამოკიდებულია დადგენილ სიღარიბის ზღვარზე, სხვა პოლიტიკის ინსტრუმენტებზე (მაგ., საგადასახადო კრედიტი), დასაქმების ხელშეწყობის არსებულ ინიციატივებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულ ქვეყანაში გავლენა იქონიოს შრომის კანონმდებლობამ დამსაქმებლის მიერ დაქირავებულთა ანაზღაურებაზე (მაგ., საფრანგეთისათვის, იხ. Laroque, and Salanie, 2002).

თუმცა მსჯელობა აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც კაცებისა და ქალების ანაზღაურებას შორის სხვაობა საკმაოდ დიდია და სადაც უფრო მეტი ქალია დასაქმებული დაბალანაზღაურებად და სოციალურად დაუცველ პოზიციებზე, ვიდრე კაცი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებისა და კაცების სიღარიბის მაჩვენებლებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა (ძირითადად იმიტომ, რომ სიღარიბის შეფასება ხდება ოჯახის დონეზე), ეს განსხვავება შესამჩნევია ქალებისა და კაცების მიერ გაძღოლილი ოჯახების შედარებისას. პირველ შემთხვევაში სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის 2 პროცენტული პუნქტით მეტია (20 პროცენტი 2021 წლის 18,3 პროცენტთან შედარებით). სიღარიბის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ისეთ ოჯახებში, რომლებშიც მხოლოდ ზრდასრული ქალები ცხოვრობენ (39.3% ქალებით დაკომპლექტებული ოჯახების შემთხვევაში, 2018 წელს მთლიან 20.1%-თან შედარებით).

საქართველოში მინიმალური ხელფასის ზრდის სიმულაციური შემთხვევის ანალიზი

საქართველოს კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ 1999 წლით თარიღდება. 1999 წლის 4 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ ბრძანება N 351-ის თანახმად, მინიმალური ხელფასის (თვიური) ოდენობა განისაზღვრება 20 ლარით (საჯარო სექტორში დასაქმებული პირების შემთხვევაში, მოქმედებს კონკრეტული გამონაკლისები). აღნიშნული ზღვარი არ არის სამართლებრივად მბოჭავი ხასიათის. ამდენად, საჭიროა დაფიქრება იმაზე, თუ რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოიტანოს ხელფასის მინიმალური ოდენობის საგრძნობლად ზრდამ. ზემოთ განხილული ასპექტების გარდა, მხედველობაში უნდა

მივიღოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა საშუალო ხელფასი ფიქსირდება. მაგალითად, მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდამ შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს უფრო ღარიბ რეგიონებზე, სადაც ხელფასები და შემოსავალი დაბალია, თბილისზე კი – არა.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის გუნდმა (Babych et al., 2022) გამოიყენა საქართველოს მიკრომონაცემები სამუშაო ძალის კვლევიდან (LFS) და შინამეურნეობათა შემოსავლებისა და ხარჯების კვლევიდან (HIES), რათა მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასაქმებისა და სიღარიბის მაჩვენებლებზე გავლენის სიმულაცია ჩაეტარებინა. კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდის გავლენის ანალიზი სიღარიბის მაჩვენებლებზე ქალებში. როგორც სხვა ნებისმიერი სიმულაცია, აღნიშნული კვლევაც შეიცავდა გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც წარმოიშვა კვლევაში გამოყენებული დაშვებებით, მაგ., რამდენად შეიცვლება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მინიმალური ხელფასის ოდენობის ცვლილების შემთხვევაში და ა.შ. კვლევაში განხილული იყო მინიმალური ხელფასის ორი ჰიპოთეტური ზღვარი; 250 და 350 ლარი.

გრაფიკი 1. 2021 წელს კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების წილი, რომელთა ანაზღაურებაც დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, სქესის მიხედვით.

	დასაქმებული კაცები, რომელთა ანაზღაურებაც 250 ლარზე ნაკლებია	დასაქმებული კაცები, რომელთა ანაზღაურებაც 350 ლარზე ნაკლებია	დასაქმებული ქალები, რომელთა ანაზღაურებაც 250 ლარზე ნაკლებია	დასაქმებული ქალები, რომელთა ანაზღაურებაც 350 ლარზე ნაკლებია
ქვეყნის მასშტაბით	5.4%	11.9%	11.7%	24.6%
თბილისი	1.0%	4.6%	5.1%	11.9%
სხვა ქალაქები	6.8%	14.1%	17.7%	34.6%
სოფლები	8.6%	17.6%	16.5%	36.1%

წყარო: ავტორების გამოთვლები სამუშაო ძალის კვლევაზე დაყრდნობით (საქსტატი, 2021).

კვლევის ფარგლებში განხორციელდა შინამეურნეობის მოსალოდნელი შემოსავლის გამოთვლა მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ და მოხდა მიღებული მაჩვენებლის შედარება სიღარიბის ზღვართან (თითოეული შინამეურნეობისათვის სტანდარტულად, „ზრდასრულთა საშუალო სტატისტიკური“ შკალის გამოყენებით). აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, ნებისმიერ პირი, ვინც ცხოვრობს სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთ მყოფ შინამეურნეობაში, ითვლება ღარიბად. „დასაქმებული“ შინამეურნეობა ღარიბად ითვლება, რომელიც იმყოფება სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთ და რომელშიც მინიმუმ ერთი ზრდასრული არის დასაქმებული.

1-ელი გრაფიკი გვიჩვენებს, რომ არსებობს უამრავი კაცი და ქალი, რომელთა თვიური შემოსავალი ჰიპოთეტურ მინიმალურ სახელფასო ზღვარზე ნაკლებია. გარდა ამისა, კაცებთან შედარებით, ორჯერ უფრო სავრაუდოა, რომ აღნიშნულ ზღვარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდეთ ქალებს. თუმცა ცალსახა არ არის მინიმალური ხელფასის გაზრდილი ოდენობის შესაძლო გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე ქალებსა და კაცებში. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ქალი ისეთი შინამეურნეობის ნაწილია, რომელშიც ზრდასრული კაცებიც შედიან, მათი შესაძლო დაკარგული/მიღებული შემოსავალი შეიძლება დაბალანსდეს შინამეურნეობის წევრი კაცების დაკარგული/მიღებული შემოსავლით, რაც შინამეურნეობის საერთო შემოსავალზე გავლენას გაურკვეველს ხდის.

გარდა ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მინიმალური ხლეფასის ოდენობის ზრდა დიდ გავლენას მოახდენს სიღარიბის მაჩვენებელზე იმ შემთხვევაში, თუ ღარიბი შინამეურნეობების

უმეტესობა მხოლოდ არადასაქმებული ღარიბი ადამიანებისაგან შედგება (ოჯახის ზრდასრული წევრები არ არიან დასაქმებულები ან არ მიეკუთვნებიან სამუშაო ძალას), რაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის. იმ ღარიბი ადამიანების წილი, რომლებიც ცხოვრობენ დასაქმებული ადამიანებისგან შემდგარ ღარიბ შინამეურნეობებში (როდესაც დასაქმებულია ოჯახის სულ მცირე ერთი წევრი), მხოლოდ 41%-ია ქვეყნის მასშტაბით (და 35% სოფლებში). ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით ღარიბი ადამიანების თითქმის 60%-ზე (სოფლებში 65%-ზე) მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდა პირდაპირ გავლენას არ იქონიებს.

სიღარიბის მაჩვენებელი ქალებსა და კაცებში: მოვლენათა განვითარება მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდის შემდეგ

როგორც მე-2 გრაფიკიდან ვხედავთ, მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდა იწვევს სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებას, მაგრამ აღნიშნული ცვლილება არ აღემატება ერთ პროცენტულ პუნქტს. მოულოდნელი არც ის არის, რომ აღნიშნული ცვლილებით მეტ სარგებელს იღებენ ქალები, ვიდრე კაცები (სიღარიბის მაჩვენებელი ქალებში შემცირდა 0.3 და 0.8 პროცენტული პუნქტით, სიღარიბის მაჩვენებელი კაცებში კი 0.2 და 0.9 პროცენტული პუნქტით, თითოეული განხილული ზღვარის შემთხვევაში, შესაბამისად). სიღარიბის მაჩვენებლის ყველაზე დიდი ცვლილება შეიმჩნევა ხელფასის მინიმალური უფრო მაღალი ზღვრის პირობებში.

გრაფიკი 2. სავარაუდო გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე, ეროვნულ საარსებო მინიმუმზე დაყრდნობით.

		სიღარიბის მაჩვენებელი მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდამდე	სიღარიბის მაჩვენებელი მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდის შემდეგ
სცენარი, როდესაც მინიმალური ხელფასის ოდენობა 250 ლარია:			
ქვეყნის მასშტაბით		22.1%	21.9%
	კაცები	22.6%	22.5%
	ქალები	21.5%	21.3%
	დასაქმებული კაცები	21.9%	21.7%
	დასაქმებული ქალები	22.2%	21.9%
სცენარი, როდესაც მინიმალური ხელფასის ოდენობა 350 ლარია:			
ქვეყნის მასშტაბით		22.0%	21.4%
	კაცები	22.6%	22.0%
	ქალები	21.5%	20.8%
	დასაქმებული კაცები	21.9%	21.3%
	დასაქმებული ქალები	22.2%	21.4%

წყარო: ავტორების გათვლები, რომლებიც ეფუძნება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევას (საქსტატი, 2021).

მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდის გავლენა შინამეურნეობათა მიერ მოსალოდნელ მედიანურ მოხმარებაზე არ აჭარბებს რამდენიმე პროცენტულ პუნქტს, როგორც ამას მე-3 გრაფიკზე ვხედავთ.

გრაფიკი 3. შინამეურნეობის წევრის, საშუალო სტატისტიკური ზრდასრულის მიერ ყოველთვიური მედიანური მოხმარების მაჩვენებელი სტატუსკვოსა და მინიმალური ხელფასის ოდენობის სცენარების შემთხვევაში, 2021.

	სტატუსკვო	**მინიმალური ხელფასის ოდენობა: 250 ლარი**	**მინიმალური ხელფასის ოდენობა: 350 ლარი**	**სტატუსკვო**
	მედიანური მოხმარება ლარში	მედიანური მოხმარება ლარში	მედიანური მოხმარება ლარში	ქვეყანაში არსებული საარსებო მინიმუმი ლარში
ქვეყნის მასშტაბით	331.5	337.6	340.3	212.0
თბილისი	350.4	354.4	356.2	212.0
სხვა ქალაქები	339.8	348.3	354.0	212.0
სოფლები	306.4	313.8	318.4	212.0

ქალაქები	346.1	352.2	354.8	212.0

წყარო: ავტორების გათვლები, რომლებიც ეფუძნება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევას (საქსტატი, 2021).

გავლენა ყველაზე დიდია ქვეყნის ურბანულ ნაწილებში (სტატუსკვოსთან შედარებით მედიანური მოხმარების ზრდა 2,5 პროცენტული პუნქტიდან 4,2 პროცენტულ პუნქტამდე). მცირე გავლენა თბილისში, სავარაუდოდ, გამოწვეულია შედარებით მაღალი ხელფასებით, ხოლო მცირე გავლენა სოფლებში – ანაზღაურებად საქმიანობაში უფრო დაბალი ჩართულობით.

დასკვნა

საქართველოს ჰიპოთეტურ მაგალითსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდას სიღარიბის მაჩვენებლებზე მცირე გავლენა ექნება. აღნიშნული დასკვნა ჩვენს კვლევაში განპირობებულია იმით, რომ ღარიბი ადამიანების მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი ცხოვრობს ისეთ ღარიბ ოჯახებში, სადაც ერთი ადამიანი მაინც არის დასაქმებული (დაახლოებით 40% ქვეყნის მასშტაბით). ღარიბი ადამიანების დარჩენილ 60%-ზე რეფორმა გავლენას არ იქონიებს.

მცირეა რაოდენობრივი გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე ქალებსა და კაცებში. მიუხედავად ამისა, სიღარიბის მაჩვენებელი ქალებში უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე კაცების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზი არ ითვალისწინებს შესაძლო დიფერენციალურ გავლენას ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით და მარტოხელა დედები მცირეწლოვანი შვილებით. ზემოთ განხილულია რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება იქონიოს ან არ იქონიოს მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდამ გავლენა შინამეურნეობათა ჯგუფებზე, მათი დასაქმების სტატუსის და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ჩვენ მიერ ჩატარებული სიმულაციური შემთხვევის ანალიზის როგორც საქართველოში მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდის წინააღმდეგ არგუმენტის გაგება. ჩვენი ანალიზის თანახმად, ამგვარი რეფორმა სათანადო შედეგს არ გამოიღებს, თუ განხორციელდება იზოლირებულად. მინიმალურ ხელფასზე არსებულ ლიტერატურაში, როგორც ჩანს, მოხდა კონსენსუსის მიღწევა იმ ფაქტზე, რომ მინიმალური ხელფასის განსაზღვრის პოლიტიკა უფრო შედეგიანი იქნება, თუ პარალელურად მოხდება:

- მიზნობრივი სოციალური დახმარების შენარჩუნება და გაფართოება იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც არ მიიღებენ სარგებელს ან დაკარგავენ სამუშაო ადგილს/შემოსავლებს მინიმალური ხელფასის ოდენობასთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად;
- პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება, სამსახურიდან გათავისუფლებული კადრების ხელშეწყობის მიზნით;
- ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამების ჩატარება დასაქმებულთა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით ნაკლებად პროდუქტიულ სექტორებში;
- სხვა ისეთი დამხმარე ინსტრუმენტების გამოყენების გათვალისწინება, რომლებიც მიზნად ისახავს ისეთი დაზარალებული ჯგუფების დახმარებას, როგორიცაა დასაქმებული მარტოხელა დედები და ა.შ.;

საქართველოში მინიმალური ხელფასის ოდენობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა მოხდეს ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

მადლიერების გამოხატვა

გვსურს მადლობა გადავუხადოთ Expertise France-ს თავდაპირველი ანგარიშის (Babych et

al., 2022) ფინანსური მხარდაჭერისთვის, რომელშიც მოცემული ზოგიერთი შედეგი და შეხედულება განხილულია წინამდებარე მიმოხილვაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Allegretto, S., Dube, A., Reich, M., & Zipperer, B. (2017). Credible Research Designs for Minimum Wage Studies: A Response to Neumark, Salas, and Wascher. *ILR Review*, *70*(3), 559–592. https://doi.org/10.1177/0019793917692788

Babych, Y., Pignatti, N., Chapichadze, A., Lobzhanidze, G. and Shubitidze, E. (2022). Report on Minimum Wage in Georgia. ISET Policy Institute. Unpublished manuscript.

Belman, D. and Wolfson, Paul J. (2014). What Does the Minimum Wage Do? Kalamazoo, MI: W.E. Upjohn Institute for Employment Research.
https://doi.org/10.17848/9780880994583

Burkhauser, R. V. and Sabia, J. J. (2007). The effectiveness of minimum-wage increases in reducing poverty: Past, present, and future. *Contemporary Economic Policy*, 25(2), 262-281. https://doi.org/10.1111/j.1465-7287.2006.00045.x

DeFina, R. H. (2008). The impact of state minimum wages on child poverty in female-headed families. *Journal of Poverty*, 12(2), 155-174.
https://doi.org/10.1080/10875540801973542

Dube, A., T.W. Lester, and M. Reich. 2010. Minimum Wage Effects Across State Borders: Estimates Using Contiguous Counties. *The Review of Economics and Statistics*, 92(4), 945–
964. https://doi.org/10.1162/REST_a_00039

European Commission. (2020). Proposal for a directive of the European parliament and of the council on adequate minimum wages in the European Union.
https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020PC0682GEOSTAT

International Labour Organization (ILO). (2023).
https://www.ilo.org/global/topics/wages/minimumwages/definition/lang--en/index.htm

International Labour Organization (ILO). (2019). The working poor or how a job is no guarantee of decent living conditions
chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://w
ww.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---stat/documents/publication/wcms_696387.pdf

Geostat. (2021). https://www.geostat.ge/en

Laroque, G. & Salanié, B. (2002). Labour market institutions and employment in France. *Journal of Applied Econometrics*, 17(1), 25-48. https://doi.org/10.1002/jae.656

Neumark, D. & Wascher, W. (2011). Does a higher minimum wage enhance the effectiveness of the Earned Income Tax Credit? *ILR Review*, 64(4), 712-746.
https://doi.org/10.1177/001979391106400405

Neumark, D. (2018). Employment effects of minimum wages. IZA World of Labor 2018: 6.
https://wol.iza.org/articles/employment-effects-ofminimum-wages/long

Sabia, J. J., Burkhauser, R. V. & Hansen, B. (2012). Are The Effects of Minimum Wage Increases Always Small? New Evidence from A Case Study Of New York State. *Sage Publications*, 350-376.
https://doi.org/10.1177/001979391206500207

Sabia, J. J. (2008). Minimum wages and the economic wellbeing of single mothers. *Journal of Policy Analysis and Management*, 27(4), 848-866.
https://doi.org/10.1002/pam.20379

Sotomayor, O. J. (2021). Can the minimum wage reduce poverty and inequality in the developing world? Evidence from Brazil. World Development 138.
https://doi.org/10.1016/j.worlddev.2020.105182.

იაროსლავა ბაბიჩი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
y.babych@iset.ge

იაროსლავა (იასია) ბაბიჩი ISET-ის ასისტენტ-პროფესორი და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტია მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით. იაროსლავას დოქტორის ხარისხი მიღებული აქვს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან.

ISET-ის კვლევით ინსტიტუტში მუშაობს გრძლევადიანი ზრდის პოლიტიკის, მდგრადი განვითარების, სოციალური და გენდერული განვითარების საკითხებზე გარდამავალ ეკონომიკებში, კერძოდ კი, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში.

ნორბერტო პინიატი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
n.pignatti@iset.ge

ნორბერტო პინიატი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის ეკონომისტია. იგი ბოლონიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორია (2007 წ). 2016 წლიდან ხელმძღვანელობს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებას. პარალელურად ნორბერტო არის ISET-ის ასოცირებული პროფესორი, რომელსაც 2009 წელს შეუერთდა. მისი კვლევითი ინტერესებია შრომის ბაზრის პოლიტიკა, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა, მდგრადი განვითარება.

არჩილ ჩაფიჩაძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
archil.chapichadze@iset.ge

არჩილ ჩაფიჩაძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი და ISET-ის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულია. მისი საბაკავრო ნაშრომი ISET-ისა და PMCG-ის მიერ 2021 წლის კურსდამთავრებულთა შორის საუკეთესო ნამუშევრად დასახელდა. ISET-ში ყოფნის დროს არჩილმა მონაწილეობა მიიღო არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსში. ამჟამად იგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივესიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს.

ISET-ის კვლევით ინსტიტუტში მოსვლამდე არჩილი მონაცემთა მეცნიერი იყო Gamma Research-ში, სტაჟირება გაიარა EBRD-ის თბილისის რეგიონულ ოფისსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში, სადაც იგი მუშაობდა გარემოსდაცვით, სოციალურ და სამთავრობო რისკების მართვის გაიდლაინებზე საქართველოსთვის.

გურამ ლობჟანიძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
guram.lobzhanidze@iset.ge

გურამ ლობჟანიძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარია ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებით. იგი ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულია. გურამი მუშაობს ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვის ინდექსზე, წერს ბლოგებს ეკონომიკურ საკითხებზე და მუშაობს კვლევით პროექტებზე. მისი კვლევითი ინტერესებია შრომის ეკონომიკა, ენერგეტიკის ეკონომიკა და მიკროეკონომიკური თეორია.

ერეკლე შუბითიძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
erekle.shubitidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარია. მას აქვს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ბაკალავრისა და ISET-ის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხები. მისი სამაგისტრო ნაშრომის თემა იყო სოციალური პრეფერენსები სხვადასხვა ეკონომიკური თამაშის პირობებში. ISET-ის კვლევით ინსტიტუტამდე ერეკლე ISET-ში პროფესორის თანაშემწე იყო და მაკროეკონომიკის I და II მოდულებს, თამაშთა თეორიასა და ფინანსების შესავალს ასწავლიდა.

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE Network) არის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი, რომელიც აერთიანებს შემდეგ კვლევით ორგანიზაციებს: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR (მოსკოვი), CenEA (შჩეცინი), KEI (კიევი), SITE (სტოკჰოლმი). FREE Network-ის ყოველკვირეული კვლევითი დოკუმენტების სერია მკითხველებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების კვლევაზე დაფუძნებულ ანალიზს. კვლევით დოკუმენტებსა და სხვა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ავტორების პოზიციას გამოხატავს და შეიძლება არ ასახავდეს FREE Network-ისა და მისი კვლევითი ინსტიტუტის პოზიციას.